ხეებთან და მცენარეებთან კომუნიკაციის ხერხები ხალხურ რელიგიაში.

“მოისხი, თორემ მოგჭრი” შეშინბული ხეების ნაყოფიერება, წესები და განსხვავებები, რომლებსაც ვხვდებით საქართველოს ვერნაკულარულ რელიგიაში.

მედეა ლეკაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე რელიგიის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამა: რელიგიის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან გურჩიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი;2023

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მედეა ლეკაშვილი

22.06.2023

მადლობა

ჩემთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა სამაგისტროს დაწერა, იმაზე მეტად ვიდრე წარმომედგინა ან გამეგონა, ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა და უპირველესად იყო ის, რომ ჩემს მიერ არჩეულმა თემამ მე თვითონ დამაბნია, რამდენჯერმე თემის რადიკალურად შეცვლაც კი მოვინდომე, რადგან სრულიად გადაწურული მქონდა ამ თემაზე მუშაობის იმედი და მოტივაცია, თუმცა საბოლოოდ ჩემმა თავმა გამომიყვანა კომფორტის ზონიდან და ასე თუ ისე გავედი ბოლოში, ბევრი საინტერესო რამე გავიგე, და ზუსტად ვიცი, რომ ამ თემასთან დაკავშირებით კიდევ არის ძალიან ბევრი რამ, რაც არ ვიცი, ფაქტი ისაა, რომ ეს თემა მუდამ ჩემს გონებაში დარჩება ალბათ ყოველი ახალი წარმოდგენის გაგებაზე დამენანება, რომ დროის ამ კონკრეტულ მონაკვეთში არ ვიცოდი.

მინდა ძალიან დიდი და გულითადი მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ქეთევან გურჩიანს, რომელმაც უდიდესი მოთმინება და გულისხმიერება გამოიჩინა ყველა ჩემი დაუდევრობის, თავის დროზე არ შესრულებული დავალების, არააკადემიურობის და პიროვნების მიმართ, და რომელმაც მითხრა ერთი ჯადოსნური ფრაზა, "დეა, თუ ვერ მოასწრებ ამ სემესტრში დაასრულო შემდეგ სემესტრში მოგიწევს დასრულება, მაგრამ შენ ისეთი მოწესრიგებული ადამიანი ხარ ინერვიულებ ამ ფაქტზე და იქნებ მოახერხო დრო დაუთმო". "მე" და "მოწესრიგებული ადამიანი" სამწუხაროდ ყველაზე ურთიერთგამომრიცხავი სიტყვათა შეთანხმებაა, თუმცა ეს იყო ფრაზა, რომელმაც ჩემი გონება აღარ დატოვა და მომცა ძალა და მოტივაცია ბოლომდე მიმეყვანა დაწყებული საქმე, ჩემნაირი დაბნეული და მოუწესრიგებელი მაგისტრებისთვის ეს ალბათ ოქროს სიტყვებია.

ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც ყოველდღე, ან დღეგამოშვებით მეკითხებოდა რაიმე ხომ არ მიმიმატებია ჩემი თემისთვის, ეს რამდენადაც დამთრგუნველი, იმდენად მამოტივირებელი იყო და მაიძულებდა მიმემატებინა თუნდაც ერთი მისხალი.

მადლობა ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, რომლებიც ყოველ მისვლაზე თავს ხელმოცარულ სტუდენტად მაგრძნობინებდნენ, უკალმობის, ცუდი კალიგრაფიის და მათთვის არაფრისმთქმელი საკოდო სიტყვების გამო, თუმცა ყოველთვის მეხმარებოდნენ.

ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გვერდ "ქართული წარმართობის" ადმინს, რომელიც ყოველთვის პოულობდა იმის დროს, რომ ჩემს კითხვებზე დროულად და ამომწურავად ეპასუხა და იმ ინფორმაციისთვის, რომელზეც მუდმივად მუშაობს და ძალიან საინტერესო და ინფორმაციულ პოსტებსა და სტატიებს აწვდის ამ თემებით დაინტერესებულ მკითხველს.

და ბოლოს მადლობა ჩემს თავს, რომელმაც კეთილი და ბოროტი სიტყვა არ დამაკლო მთელი ამ დროის განმავლობაში.

აბსტრაქტი

კახეთში, კერძოდ დედოფლისწყაროში საკმაოდ გავრცელებულია ერთ-ერთი ჩვეულება, რომელიც გულისხმობს ხის შეშინებას, ამ წესს მიმართავენ მაშინ, როდესაც ხე აღარ ისხამს ნაყოფს, თვითონ ამ ჩვეულებას ერთ ხალხურ ტრადიციას ეძახიან და ამბობენ, რომ ყოველთვის ამართლებს.

ხესთან კომუნიკაციის ეს ხერხი, როგორც ჩანს, გავრცელებულია არა მხოლოდ კახეთში, არამედ მთელი საქართველოს მაშტაბით, თუმცა ჩემი ნაშრომი მხოლოდ ამ კომუნიკაციის ხერხზე არ არის, თემა არის კომუნიკაციის ხერხებზე ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში.

ნაშრომში განხილული იქნება ხეებთან და მცენარეებთან კომუნიკაციის მაგალითები ხალხური რელიგიის ჭრილში. აღწერს და გაანალიზებს ხეებთან და მცენარეებთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს და განიხილავს დღეს რა სახითაა შემორჩენილი ეს წარმოდგენები.

კვლევისთვის გამოყენებული იქნება თვისებრივი კვლევა, უფრო ზუსტად ისტორიული და ეთნოგრაფიული მიდგომა. კვლევა ძირითადად მოიცავს სამაგიდო კვლევას და ინტერვიუებს.

საკვანძო სიტყვები: ხეებთან და მცენარეებთან კომუნიკაცია, ვერნაკულარული რელიგია, მოდერნულობა, ხალხური რწმენა-წარმოდგენები, „ფოლკ რელიგია”